**მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარი** N1 დანართი

| | | |
|---|---|---|
| ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება | ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში |
| | იურიდიული მისამართი | თბილისი, დიდი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქ. 92 |
| | პროგრამის განხორციელების ადგილი | თბილისი, დიდი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქ. 92, 0131 |
| | ელ-ფოსტა, ტელეფონი (ფაქსი) | info@britishuni.edu.ge |
| | ხელმძღვანელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა) | გურგენიძე მაია, maia.gurgenidze@britishuni.edu.ge |
| | საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა) | ხოდელი სალომე; 591 14 11 66; Salome.khodeli@britishuni.edu.ge |

| | | |
|---|---|---|
| ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებელი) |
| | პროგრამის საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება | პედაგოგიკა; განათლების ფსიქოლოგია; სწავლის პროცესის დაგეგმვა და მართვა; კვლევის მეთოდები განათლებაში; ზოგადი განათლების სისტემის საფუძვლები; ინკლუზიური განათლება; სასკოლო შეფასების სისტემები; საგანმანათლებლო ტექნოლოგიები და ონლაინ სწავლება; ლიდერობა სკოლაში; ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა 1; ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა 2; სასკოლო პრაქტიკა 1; სასკოლო პრაქტიკა 2. |
| | ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, | 794251, 06.28.2022 |
| | პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა | 30 |
| | სწავლების ენა პროგრამის მიხედვით | ქართული |
| | პროგრამის მოცულობა კრედიტებში | 60 კრედიტი |
| | მიზანი და სწავლის შედეგი * | მოამზადოს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ინგლისური ენის სწავლებისთვის საჭირო საფუძვლიანი ცოდნითა და უნარებით, რომელსაც გაცნობიერებული ექნება თითოეული მოსწავლის უნიკალურობა; შეეძლება გამოიყენოს სწავლების დიფერენცირებული სტრატეგიები. პროგრამაზე ჩარიცხულმა პირმა - სტუდენტმა მიიღოს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური კომპეტენცია, სისტემური ცოდნა კლასის მართვისა და სასწავლო პროცესის წარმართვის შესახებ მასწავლებლის ეთიკის კოდექსისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით;<br>განახორციელოს პედაგოგიური პრაქტიკა მიღებული ცოდნის გამოყენებით; ორიენტირებული იყოს უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე. პროგრამის მიზნები და შედეგები შეესაბამება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელს, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ უფროსი მასწავლებლის მოთხოვნებსა და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემას. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებელი) დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება შემდეგი კომპეტენციები:<br>ცოდნა-გაცნობიერება: იცნობს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებს და სტრუქტურას, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას, აცნობიერებს მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მათზე დაფუძნების აუცილებლობას; იცნობს პედაგოგიკის ძირითად ცნებებს და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს; განათლების ფსიქოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებს და კრიტიკულად აცნობიერებს მათ; აცნობიერებს დაგეგმვის აუცილებლობას, აქვს ცოდნა გაკვეთილის სტრუქტურის შესახებ, იცის როგორ დაგეგმოს და წარმართოს მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი; აქვს ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებზე სისტემური ცოდნა და იცის როგორ შექმნას ინკლუზიური სასწავლო გარემო; ფლობს სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდებს, შეფასების ტიპებს და მეთოდებს; აქვს პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებისა და ანალიზის ძირითადი მიდგომების საფუძვლიანი ცოდნა და აცნობიერებს შეფასების შედეგების გამოყენების მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში. უნარი: შეუძლია შექმნას დადებითი, უსაფრთხო და მამოტივირებელი სასწავლო გარემო მოსწავლეების, მათ შორის სსსმ მოსწავლეების, ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, მათი კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით მათი პიროვნული, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური განვითარებისთვის; შეუძლია, ერთი მხრივ, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, მეორე მხრივ კი, განათლების თეორიების, სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიების, თანამედროვე რესურსებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შემუშავება და გაკვეთილის დაგეგმვა; შეუძლია მოსწავლეთა შეფასების მეთოდების მიზნობრივი გამოყენება თითოეული მათგანის მიღწევისა და პროგრესის შესაფასებლად. ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა: განათლების ინკლუზიურობისა და მოსწავლეთა მოტივაციისთვის პოზიტიური, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა; ამისთვის მოსწავლეებთან თანამშრომლობა; პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე საკუთარი პროფესიული განვითარების, კვლევის უნარისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. |

**ინფორმაცია მოდულის შესახებ**

| № | პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით | სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით | დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა | ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა | აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები |
| 1 | ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური) | 2250 | 30 | ინგლისური ენა(დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) | ზეპირი გამოცდა | პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელიც ფლობს ბაკალავრის, მაგისტრის და / ან მათთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის საგანში / საგნობრივ ჯგუფში და რომელსაც დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით. |

* მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნეს დანართის სახით

ბეჭედი ხელმოწერა